1)

ჩამოთვლილი ტოლობებიდან რომელია სწორი?

ა) $5(2a + 1) = 10a + 1$ ბ) $(3 + b)2 = 3 + 2b$

გ) $4a + 8 = 4(2 + a)$ დ) $4a + 6 = 10a$

2)

ტურისტი 5-დღიანი მოგზაურობისას ყოველ მომდევნო დღეს გადიოდა 5 კმ-ით მეტს, ვიდრე წინა დღეს. რამდენი კილომეტრი გაიარა ტურისტმა მოგზაურობის პირველ დღეს, თუ ამ მოგზაურობის ბოლო დღეს გაიარა 70კმ?

ა) 14კმ ბ) 19კმ გ) 40კმ დ) 50კმ

3) დააკვირდი სურათს და უპასუხე შემდეგ შეკითხვას:



5 დინოზავრი უფრო მძიმე იქნება თუ 27 სპილო?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:



LIVEWORKSHEETS

4)

ჩაწერე ცარიელ უჯრაში რამდენნიშნა რიცხვია **თხუთმეტი მილიარდ ექვსი მილიონ ოცდასამი ათასი**

5)

რამდენ ნულს შეიცავს შვიდი მილიარდ სამის ათობითი ჩანაწერი?

ა) 7 ბ) 8 გ) 9 დ) 10

6)

ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელი რიცხვი იკითხება ასე:

სამი მილიარდ თოთხმეტი ათას ხუთასრვა

ა) 30000014508 ბ) 300014508

გ) 300000014508 დ) 3000014508

7)

ანამ სამნიშნა n რიცხვს ბოლოში ციფრი 3 მიუწერა. საბოლოოდ მან რიცხვი 3253 მიიღო.

ქვემოთ ჩამოთვლილი ტოლობებიდან რომელი ტოლობა აღწერს ამოცანის პირობას?

ა) $n+3=3253$ ბ) $10n+3=3253$

გ) $(n+3)\cdot 10=3253$ დ) $n\cdot 3=3253$



LIVEWORKSHEETS

8)

ანას ჰქონდა 39 ლარი, დედამ დაუმატა 20 ლარი, ამის შემდეგ a ლარი დახარჯა წიგნებში და დარჩა 18 ლარი. რომელი ტოლობა გიჩვენებს იმას, თუ რამდენი ლარი დახარჯა ანამ წიგნებში?

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | a=39 + 20 - 18 | გ) | a=39– 20 + 18 |
| ბ) | a=39 - 20 – 18 | დ) | a=39 + 20 + 18 |

9)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია $15 \cdot x + 24$ გამოსახულების ტოლი გამოსახულება?

ა) $39 \cdot x$

ბ) $(5 \cdot x + 8) \cdot 3$

გ) $3 \cdot (5 \cdot x + 24)$

დ) $(15 \cdot x + 8) \cdot 3$



LIVEWORKSHEETS

10)

ცხრილის ყველა სტრიქონი პირველი სტრიქონის შესაბამისადაა შევსებული:

| X | 4·X-2 |
|---|---|
| 30 | 118 |
| 50 | 198 |
| 90 | |

ჩაწერე ცხრილში გამოტოვებული რიცხვი

11)

ცხრილის ყველა სტრიქონი პირველი სტრიქონის შესაბამისადაა შევსებული:

| Y | (Y+1)·3 |
|---|---|
| 30 | 91 |
| 101 | 306 |
| 150 | |

ჩაწერე ცხრილში გამოტოვებული რიცხვი


LIVEWORKSHEETS